ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 36

სხდომის ჩატარების დრო:
29 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდნენ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი** და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, გრიგოლ შუშანია, ლაშა შალამბერიძე.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი.**

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, ლაშა შალამბერიძე.

სულ: 13 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მაგდა კოსტავა, ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, პაატა ლილუაშვილი, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 11 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ინპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი, ბატონი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი, ბატონი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, პაატა ლილუაშვილი, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის - „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოთაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **დემური ინანეიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების მე-7 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექციას“ მიენიჭოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 55^2, 55^5, 55^6, 64^2, 77^1, 77^2 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 107^4 მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-14, მე-16 პუნქტებით, 114^2 მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 125^3 მუხლის მე-4–5^1 ნაწილებით, 125^4 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1, 135-ე, 135^1, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1 მუხლებით, 151-ე, 151^2, 152-ე და 152^2, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 156^1, 153^4, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^1, 166^2 და 172-ე მუხლებით (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების, ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება. ყურადღება ექცევა 153-ე მუხლის მე-3 პუნქტის 1-ლი, მე-3 და მე-4 ქვეპუნქტებით განსაზღვრული უნებართვო გარევაჭრობის აკრძალვებს, უფრო კონკრეტულად, გვაქვს საჯარიმო სანქცია 20 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში თანხა შეადგენს 100 ლარს და ასევე ქონების კონფისკაციას. “

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**: - „რაც შეეხება სარეალიზაციო ქონების ჩამორთმევას, იგივე კონფისკაციას, თბილისის მერიას ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული აქვს უკვე დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს ჩამორთმეული ქონების იმ ორგანიზაციებისთვის გადაცემას, რომლებიც ეწევიან ისეთ საქმიანობას, სადაც აღნიშნული პროდუქტი შეიძლება იქნეს გამოყენებული.“

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია**: - „პირობითად რა სიხშირით ხდება გაფრთხილება და რა ეტაპზე ჩამოერთმევათ ეს სარეალიზაციო საქონელი?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „თუ პიროვნებამ მაშინვე არ გაითვალისიწინა გაფრთხილება და არ აიღო პროდუქტი, უფლებამოსილები ვართ დაუყოვნებლივ მოვახდინოთ რეაგირება სანქციით და ამასთანავე ქონების კონფისკაციით.“

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** - „პროდუქციის სახეობას აქვს მნიშვნელობა?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „პროდუქციის სახეობას მნიშვნელობა არ აქვს, ნებისმიერი პროდუქტი, რაც რეალიზაციას ექვემდებარება იქნება ჩამორთმეული.“

კომისიის წევრი, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** - „ერთი გარემოება მინდა დავაზუსტო, რა აზრი აქვს კანონში ჩანაწერს განმეორებითი 100 ლარიანი სანქციის შესახებ, თუ 20 ლარიან სანქციასთან ერთად თან ვახორციელებთ ქონების კონფისკაციას?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „შესაძლოა პირველი გაფრთხილების და სანქციის შემდეგ დაუყოვნებლივ აიღოს პროდუქცია და მეორე დღეს ისევ იგივე გაიმეოროს, ამას გულისხმობს განმეორებითი სანქცია.“

კომისიის წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** - „ამ დროს თუ ხდება შეთავაზება რაიმე სახის ალტერნატივის, თუ ვთავაზობთ გარემოვაჭრეებს მაგალითად ბაზრობის შიდა ტერიტორიაზე შესვლას და საქმიანობის იქ გაგრძელებას.“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „რათქმაუნდა არის ეს შეთავაზება.“

კომისიის წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე:** - „ამ შეთავაზებას ისინი არ თანხმდებიან, ერთი მარტივი მიზეზის გამო, მათი თქმით არ ვაჭრობენ იმდენს, რომ ქირის გადახდა უღირდეთ.“

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** - „აღნიშნული სამართალდარღვევა ვფიქრობ მარტივად აღმოფხვრადი არ არის, რამდენიმე დღე მონიტორინგის დროს არ იქნებიან, მაგრამ როგორც კი შეაჩერებთ კონტროლს, დიდი ძალისხმევით თავიდან გიწევთ ყველაფრის დაწყება.“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „ჩვენი თანამშრომელი არის მუდმივ რეჟიმში იქ, თუმცა თუ მთელი სამსახური პოლიციასთან ერთად არ გავედით ადგილზე ეფექტი არ აქვს.“

კომისიის წევრი, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** - „იურიდიულ განყოფილებას თუ აქვს გავლილი ეს საკითხი, შესაძლოა არც იყოს ასეთი შემთხვევები მაგრამ, სიღრმისეულად, რომ დავუკვირდეთ ჯარიმის ოქმი, რომელსაც თქვენ ადგენთ, შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში და გაბათილდეს, იქედან გამომდინარე, რომ იმ საქონელს, რომელსაც თქვენ ჩამოართმევთ, და არის პირობითად 10 კილო კარტოფილი, გათვალისწინებული და დაცული უნდა იქნას ყველა ნიუანსი, სწორად უნდა აწონოთ, სწორად ჩაწეროთ, ხელი უნდა

მოაწერინოთ, შესაძლოა არც დაგეთანხმოთ და არ მოაწეროს, ყველაფერი ეს შეიძლება იყოს საკამათო საგანი."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „ბევრი ოქმი იქნა გასაჩივრებული თუმცა სასამართლომ ყველა მათგანი დატოვა ძალაში, თუ ვერ დგინდება პიროვნების იდენტიფიცირება ან ტოვებს ადგილს და ტოვებს პროდუქციას, ამ შემთხვევაში უპირობოდ ხდება ქონების ჩამორთმევა."

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ეს ცვლილება შეტანილია სექტემბრის თვეში, ძალაში შევიდა ოქტომბერში, თუ კანონის ამგვარ ცვლილებებს არ ავუწყობთ ფეხს, არ იქნება სწორი, იმიტომ, რომ კანონში მკაფიოდ არის მითითებული ამ წესის ოქტომბრიდან ამოქმედების შესახებ. უფლებამოსილი პირის შენიშვნა, სიტყვიერი გაფრთხილება არ ათავისუფლებს სამართალდამრღვევს საგნის კონფისკაციისგან და ასევე მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობად განიხილება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიუწოდებლობა, მოგეხსენებათ ამას ხშირად იყენებენ ჯარიმის თავიდან ასაცილებლად."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** - „ვფიქრობ დოკუმენტი კიდევ საჭიროებს იურიდიულ დამუშავებას, ბევრი ნიუანსია დაუზუსტებელი, რაც მომავალში გამოიწვევს მთელ რიგ პრობლემებს, გარე ვაჭრობის აკრძალვის მომხრეა ყოველი ჩვენგანი ამაში დამეთანხმებით, თუმცა საკმაოდ დიდი ბრძოლები მოგიწევთ და თუ გაქვთ ამის რესურსი, რადგან მზარდია ეს პრობლემა ყოველდღიურად."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „მზად ვართ და რესურსიც გათვალისწინებულია."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** - „კი არის გათვალისწინებული ქონების კონფისკაცია, მაგრამ როგორ და სად ინახება, რა კრიტერიუმებით ხდება ან გადაცემა სხვა ორგანიზაციისათვის ან განადგურება, ეს მთელი პროცედურები იმდენად დეტალურად არის გასაწერი, ვფიქრობ საჭიროებს ჩაღრმავებას."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „რაც დაამტკიცა ქალაქ თბილისის საკრებულომ, ჩვენც ანალოგი ტექსტი გვაქვს აღებული. შესაბამისი ცვლილებებით გათვალისწინებული განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის არსებული რესურსი თანამშრომლების არასაკმარისია და 10 ადამიანი მყავს გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტში, რომელიც შემოუერთდება ჩვენს სამსახურს და გადანაწილდებიან შესაბამისად."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** - „ეს საკითხი არც თუ ისე დიდი ხნის წინ დიდი ძალისხმევით და საკმაოდ ეფექტური შედეგით მეტნაკლებად გადაწყდა, იმდენად, რომ ოპოზიციის მოწონებაც დაიმსახურა, მაინტერესებს რა იყო მაშინ ამის დაძლევის მიზეზი?„

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** - „ჩვენ მუნიციპალიტეტს ამ კანონის ცვლილების მიღებამდე არანაირი ბერკეტი არ გვქონდა, არც საჯარიმო სანქციის, არც

კონფისკაცია- ჩამორთმევის და არაფრის, მაშინ მობილიზდა ადამიანური რესურსი, მუნიციპალიტეტებიდან გამოიყო ორ-ორი ადამიანი, დასუფთავების ა(ა)იპ-დან გამოიყო 5 ადამიანი და მთელი დღის მანძილზე, დილის 9 საათიდან საღამოს 7-ის ნახევრამდე აღნიშნული პირები იყვნენ ამ ღონისძიებაში ჩართული. როცა ადამიანური რესურსი ბევრია, შესაბამისად, იქ უფრო მეტი ეფექტი აქვს."

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** - კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ეს ჩანაწერი კანონში უკვე არსებობს, ჩვენ თუ მექანიზმებს დავხვეწავთ, გავაუმჯობესებთ და უფრო მეტ კარგ საქმეს გავაკეთებთ ჩვენვე გვარგებს. შესაძლებელია უკეთესი ღონისძიებების მოფიქრება და გაუმჯობესება, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში, თუმცა კანონის მოთხოვნა რაც არის, ვალდებულები ვართ ჩვენც გვქონდეს იმპლემენტირებული. რაც შეეხება ქვითრის ფორმას, გეთანხმებით ბატონო ბექა, ეს ფორმა ბევრჯერ შეიცვალა და კიდევ შეიძლება შეიცვალოს დინამიკაში."

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე:** - „მთავარია იყოს ნება, კანონიც ხელს გვიწყობს, გვაქვს კანონიერი უფლება კონკრეტული ზომების მიღებისა და ასე რომ ყველაფერი შესრულებადია და წარმატებები ბატონო დემურ."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, პაატა ლილუაშვილი, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-11 წევრი, თავი შეიკავა-გრიგოლ შუშანიამ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსმა, ბატონმა **დემური ინანეიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს კანონის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 153-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარევაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის კომფისკაციის შედეგედ მიღებული ქონების განკარგვის წესი დანართის შესაბამისად."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**: - „გვაქვს რაიმე ადგილი ქალაქში, სადაც ეს ჩამორთმეული ქონება განთავსდება და გადანაწილდება ან დახარისხდება?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი**: - „წესით უნდა მოხდეს დასაწყობება, თუ არის მალფუჭებადი პროდუქტი ან ვერ დგინდება მისი ვარგისიანობის ვადა, შესაბამისი აქტის საფუძველზე უნდა განადგურდეს შესაბამისის წესით და პირობების დაცვით ნაგავსაყრელზე."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია**: - „ჩემი რჩევა იქნება რომ დეტალურად გაწეროთ, სად ასაწყობებთ, რა წესები და პირობებია, რა პროცედურებია, სჭირდება თუ არა დალუქვა, იურიდიულად არ გამოიწვიოს ცდომილებები."

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე**: - „ამ ქონებისათვის საჭიროა აუცილებლად განისაზღვროს შესაბამისი ფართი, სადაც მოხდება ყველაფრის დასაწყობება."

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**: - „დასკვნაში აღვნიშნავთ, რომ რეკომენდაციას ვიძლევით, უზრუნველყოფილ იქნას ზემოაღნიშნული ფართის გამოყოფა, რომელიც იქნება შესაბამისი პირობებით აღჭურვილი."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 13 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, პაატა ლილუაშვილი, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-11 წევრი, თავი შეიკავა-გრიგოლ შუშანიამ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი